პროსტიტუცია: ძველი და ახალი დებატი

თამარ საბედაშვილი

აბსტრაქტი

სტატიაში მომოხილულია პროსტიტუციის პრობლემის ირგვლივ გამართული დებატები, რომელიც საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში, გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა" ფურცლებიდან დაიწყო, მაგრამ ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება და ქართულ საჯარო სივრცეში დღემდე ტაბუდადებულ საკითხად დარჩა; განხილულია პროსტიტუციის რეგულირების თანამედროვე პოლიტიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ე.წ. ლეგალიზებისა და აკრძალვის პოლიტიკის შედეგები, ასევე პროსტიტუციის პრობლემის მიმართება საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალთან. სტატია წარმოადგენს მცდელობას პროსტიტუციის პრობლემა გახდეს საჯარო განხილვის საკითხი საქართველოში და გამოააშკარავდეს კავშირი გენდერულ უთანასწორობასა და პროსტიტუციის პრაქტიკას შორის.

საკვანძო სიტყვები: პროსტიტუცია, პროსტიტუციის რეგულირება, ფემინიზმი, ჯოზეფინ ბათლერი, კრისტაბელ პანკჰურსტი, კატო მიქელაძე.

მოსაზრება, რომ დედაკაცებს ისტორიულად არა ჰქონიათ სწორუფლებიანობა და ამისათვის ვერასოდეს ვერ უნდა ეღირსონ, არის ცრუმორწმუნეობა, რომელიც ადამიანის პიროვნულ განვითარებას დროსა და სივრცეს კი არ უფარდებს, არამედ ძველს, დახავსებულ ტრადიციებსა და ჩვეულებას. იმისი თქმა, რომ 'ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს' ეწინააღმდეგება ყოველგვარ მეცნიერულს კვლევა ძიებას და ადამიანი, რომელიც ასეთს შეხედულებას იცავს, არის მტერი პიროვნული თავისუფლებისა.

კატო მიქელაძე, 1917 წლის მაისი, ხმა ქართველი ქალისა N 5, 1.

ძარცვა და მკვლელობა არის ბოროტება, რომელიც ყოველთვის არსებობდა, მაგრამ არც-ერთ საზოგადოებას არ უფიქრია ეთქვა: ვინაიდან ჩვენ ვერ აღმოვფხრავთ ძარცვას და მკვლელობას, მოდი ცხოვრების ისეთ წესზე შევთანხმდეთ, რომელიც მათ გარკვეულ რეგულაციებს და მონიტორინგს დაუქვემდებარებს, ისე რომ მაგალითად კანონი განსაზღვრავს რა ადგილებში, რა დროს და რა ვითარებაში იქნება ძარცვა და მკვლელობა ნებადართული.

ჯოზეფინ ბათლერი, 1875 წელი.

ესეს დასაწყისში მოხმობილი ორი ციტატა სრულად გამოხატავს ჩემი სათქმელის სულისკვეთებას და მტკივნეულად მახსენებს, რომ ეს სათქმელი და თემატიკა არახალია, მაგრამ ღია ჭრილობასავით ისევ მტკივნეული და მოუშუშებელი. კატო მიქელაძე თავისი გაზეთის "ხმა ქართველი ქალისას" ფურცლებიდან 1917-18 წლებში მოუწოდებდა ქალებს და ფემინისტური დღის წესრიგის გამზიარებელ კაცებს დარაზმულიყვნენ უფრო სამართლიანი, თანასწორი და დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს ასაშენებლად. მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ ის ისტორიული მომენტი, რომელიც საქართველომ რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებით მიიღო გონივრულად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებაში ქალთა მაქსიმალური მონაწილეობით გამოეყენებინათ. წუხდა ქალთა დაჩაგრული მდგომარეობის, მათი პოლიტიკური უფლებების ფორმალური ხასიათის, ქალთა სიღარიბისა და ქალებით ვაჭრობის და პროსტიტუციის გავრცელებული პრობლემის შესახებ და გამოსავალს ხედავდა ისეთ ცვლილებებში, რომელთა ავტორებიც ქალები უნდა ყოფილიყვნენ - მიუღებლად მიაჩნდა შერიგება რეალობასთან, მიდგომა "ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს".[1]

ხმის უფლებისთვის ბრძოლა, რომელიც მთავარი გამაერთიანებელი ღერძი იყო ფემინიზმის პირველი ტალღისათვის ახალ ზელანდიას, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, მნიშვნელოვანი მოთხოვნა და თემაა გაზეთისთვის „ხმა ქართველი ქალისა"; პოლიტიკური უფლებები და სწორუფლებიანობა იყო აღქმული მთავარ გზად სხვა სასურველი ცვლილებებისკენ, რასაც ქალები თავიანთ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოახდენდნენ და ერთ-ერთ ასეთი საკითხი გახლდათ პროსტიტუცია; გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა თარგმანი კრისტაბელ პანკჰურსტის 1914 წლის ნაშრომისა „საზარელი მტარვალობა", რომელიც სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებს, ცოლ-ქმრობისა და პროსტიტუციის საკითებს მიმოიხილავს.[2] პანკჰურსტი წერს: „როცა ქალები მიიღებენ ხმას, ისინი უფრო მეტს პროტესტს განაცხადებენ, რომ არ გადაიქცეს სქესი სათამაშოთ, შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დაჭერით." (ხმა ქართველი ქალისა N9, 1917, 2). როგორც თარგმანის ბოლოს გაზეთის რედაქციის (კატო მიქელაძის) კომენტარიდან ირკვევა, აღნიშნულ ნაშრომს გამოუწვევია აღშფოთება ქართველი ქალების გარკვეულ წრეებში და გაზეთ „მეგობრის" ფურცლებზე ქალ ავტორს პანკჰურსტის ნაშრომის თარგმნისთვის „ვულგარული გამოსვლა" უწოდებია... „ასეთ ქალებს ჩვენ ვსთვლით იმ მამაკაცების მოწაფეებად, რომელთ დამარცხებასთან ერთად ისენი გაქრებიან, მანამდე კი სიტყვის თავისუფლებით დეე ისენიც სარგებლობდნენ და სწერონ თავიანთი პროტესტები." (იქვე, 3) დასძენს გაზეთის რედაქცია და მტკივნეულად მიგვანიშნებს, რომ ისტორიულად და დღესაც ხშირად ქალები იცავენ და იზიარებენ პოზიციებს, რომლებიც ემსახურება გენდერული უთანასწორობისა და ქალთა ჩაგვრის შენარჩუნებას.

კრისტაბელ პანკჰურსტამდე გაცილებით ადრე, მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბრიტანელი ფემინისტი ჯოზეფინ ბათლერი შეურიგებლობისკენ მოუწოდებდა თავის თანამედროვეებს პროსტიტუციასთან მიმართებით და ახალი უფრო სამართლიანი და ღირსეული საზოგადოებრივი ცხოვრების დამკვიდრებისთვის იბრძოდა. ბათლერის ნაწერებში, ისევე როგოც მიქელაძისა და პანკჰურსტის ნაწერებში და იმ გამოხმაურებაში, რასაც მათი პუბლიცისტიკა და საქმიანობა იწვევდა, ნათლად ჩანს, რომ ის დინება, რომლის წინააღმდეგაც ეს ფემინისტი ქალები ცდილობდნენ წასვლას, ძალაუფლების მქონეთა მხრიდან მოდიოდა. კარგად რომ არ ვიცნობდე ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიას, შეიძლება მეფიქრა, რომ იმ ეპოქისა და დროისთ-

ვის მათი ყიჟინა და ბრძოლა ახალი და უცხო იყო და ვერ იქნებოდა წარმატებული, რადგან მას არ გაიზიარებდა ძალაუფლების მქონე მასკულინური მეინსტრიმი, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ დღესაც, 21-ე საუკუნეში საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეპოქაში მარგინალურად გაისმის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ პროსტიტუცია „საზარელი მტარვალობაა" და აუცილებელია ამ მავნე პრაქტიკის დაძლევა და აღმოფხვრა, ხოლო მიდგომა „ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს" მიუღებელია. სწორედ ამ მიზეზით გადავწყვიტე მივუძღვნა ჩემი სტატია პროსტიტუციის თემას - ძალიან მტკივნეულ და მიჩქმალულ საკითხს ქართულ საჯარო დისკურსში.

ეს საკითხი იმიტომ არის მტკივნეული, რომ სიღარიბე, ქალების მიერ პროსტიტუციაში ჩართვამდე ძალადობრივი გამოცდილება, ყოველდღიური ძალადობა და დაუცველობა, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ისე საქართველოშიც აერთიანებთ პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს. 2008-2009 წლებში ორგანიზაციების „კურაციოსა" და „თანადგომის" მიერ თბილისსა და ბათუმში ჩატარებული კვლევის შედეგებით, პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა 15.6%-მა თბილისში და 8.3%-მა ბათუმში განაცხადა, რომ განუცდია ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება ან სქესობრივი ძალადობა შანტაჟის მეშვეობით კლიენტების (ძირითადი ჯგუფი), სუტენიორების, მეუღლეების ან პარტნიორების, პოლიციელების და უცნობი კაცების მხრიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში (კურაციო, თანადგომა 2008-2009, 4, 21, 60-61). პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა 87%-ისთვის ამ საქმიანობით მიღებული გასამრჯელო, შემოსავლის ერთადერთი წყაროა და მათზე (თბილისში 88%-ზე, ხოლო ბათუმში 91%-ზე) ფინანსურად 2.7 ადამიანია დამოკიდებული (იქვე, 2-3, 15).

პროსტიტუცია მიჩქმალული თემაა იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება ხშირად შეხვდეთ ისეთ კაცებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ყველა ეკლესიის დანახვაზე პირჯვარს იწერენ და დიდ მეოჯახეებად სდებენ თავს, მეორე მხრივ კი არათრად მიაჩნიათ ქალის სხეულის ყიდვა სექსისთვის, ის კი არა და, ელოდებიან ვაჟი როდის წამოეზრდებათ, რომ ან თვითონ წაიყვანონ ან ძმაკაცებს წააყვანინონ „ქალებში დასავაჟკაცებლად." ასეთ ფარისევლურ ვითარებაში, ცხადია, ძალიან ბევრს არ ესიამოვნება ამ საკითხის დღის შუქზე გამოტანა და მასზე საზოგადოებრივი მსჯელობის გამართვა, გაცილებით უფრო კომფორტული არ არის "ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს" პოზიციის ქონა, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროსტიტუციის უკან მავანთა ბიზნეს ინტერესებიც დგას? ვიდრე კითხვის ნიშნების დასმა არსებული პრაქტიკისა და რეალობის მიმართ და რყევების თუ არა, ბიძგების გამოწვევა მაინც მის შესაცვლელად.

დღეს სულ თითზე ჩამოსათვლელია იმ ორგანიზაციების რაოდენობა, ვინც გარკვეულ მომსახურებას და დაცვას სთავაზობს პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს, მაგრამ არავინ მუშაობს პროსტიტუციიდან მათი გამოყვანის მიზნით, იმიტომ, რომ საზოგადოება არ მსჯელობს ამ საკითხზე და არ ცდილობს პროსტიტუციის აღმოფხვრას. მახსოვს, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მოქმედ ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ კითხვისას, გამორჩეულად დამამახსოვრდა "წმინდა მარია მაგდალინელის თავშესაფრის თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება", რომელიც 1903 წელს შეიქმნა და გამოსავლის დახვეწილ, კარგად მოფიქრებულ გზას სთავაზობდა პროსტიტუციაში ჩართულ 25 წლამდე ასაკის ქალებს და გოგონებს. მსურველებს სამი წლის ვადით უზრუნველყოფნენ თავშესაფრით, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, კერვას, სხვა ხელსაქმეს და სამზარეულო საქმეს. "თავშესაფარში ყოფნის დროს ხელსაქმიდან მიღებული

შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა პირობების გაუმჯობესებას, ხოლო ნაწილი ინახებოდა და დაგროვილი თანხა ახალგაზრდა ქალს ხელზე ეძლეოდა თავშესაფრის დატოვებისას. საზოგადოება თავის აღსაზრდელებს სამუშაოს მოძებნაშიც ეხმარებოდა" (ხომერიკი და ჯავახიშვილი 2005, 31-32). ამგვარ დახმარებას და მხარდაჭერას დღეისათვის საქართველოში არც ერთი თანამედროვე ორგანიზაცია არ სთავაზობს პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს, რაც კიდევ ერთხელ მიმანიშნებელია ამ საკითხის წამოჭრის აუცილებლობაზე.

პროსტიტუცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები არა მარტო გამომდინარეობს გენდერული უთანასწორობიდან, არამედ, ინარჩუნებს მას. პროსტიტუცია გადაჯაჭვულია გენდერისა და სექსუალობის საკითხებთან და დიდ წილად ჰეტერონორმატიული წესრიგის განმტკიცებას ემსახურება. სექსუალობის საკითხებზე საუბრისას ქეთრინ მაქკინონი აღნიშნავს, რომ სამყაროში არსებული ძალაუფლების გადანაწილება სოციალურ ურთიერთობებში აისახება და განსაზღვრავს და აწარმოებს გენდერს. „ფემინისტური გადმოსახედიდან, ის ფაქტი, რომ კაცები ფლობენ ძალაუფლებას განაპირობებს იმას, რომ კაცების სექსუალური ინტერესების დაკმაყოფილება განსაზღვრავს სექსუალობას როგორც ასეთს, იმ სტანდარტის ჩათვლითაც, რის მიხედვითაც უნდა იგრძნო, გამოხატო და განიცადო, ანუ განსაზღვრავს ქალების ბიოგრაფიებსაც, მათ შორის სექსუალურ გამოცდილებებს." (მაქკინონი 1997, 160). შესაბამისად, პროსტიტუცია, როგორც პრაქტიკა და გამოცდილება სრულად ჯდება სქესთა შორის არსებულ ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილების სისტემაში.

გენდერისა და სექსუალობის კავშირზე წერს ჯუდით ბათლერიც "ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის პირობებში, პოლიციური გენდერული რეჟიმი გამოიყენება იმავე ჰეტეროსექსუალობის უზრუნველსაყოფად და დასაცავად." (ბათლერი 1999, xii) ცხადია, ჰეტერონორმატიული სექსუალობა - რომლის განუყოფელი ნაწილიცაა პროსტიტუცია ინარჩუნებს ნორმატიულ გენდერს - ანუ პროსტიტუცია საუკუნეების მანძილზე ითვლება ქალების საქმედ და მოწოდებად ჰეტერონორმატიულ ჩარჩოში, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ კაცებს, როგორც უფრო პრივილეგირებული გენდერული იდენტობის მქონეთ შეუძლიათ იყიდონ ქალის სხეული სექსისთვის. პროსტიტუციასთან ბრძოლით (ეფექტიანი ბრძოლის მექანიზმებზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა) და მისი აღმოფხვრით ზიანი ადგება ასევე გაბატონებულ გენდერულ და ჰეტერონორმატიულ ჩარჩოსაც, რომლის გამოხატულებაცა და გამაძლიერებელი პრაქტიკაც არის პროსტიტუცია. ალბათ იმიტომაც გრძელდება ფემინისტების პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა ამდენი საუკუნეა და მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში მიმდინარეობს წარმატებით, სადაც ეს რეფორმები გადაჯაჭვულია ქალთა უფლებებისთვის და გენდერული თანასწორობის მიღწევის დებატსა და პოლიტიკასთან.

სახელმწიფო პოლიტიკა პროსტიტუციასთან დაკავშირებით

საერთაშორისო სამართალი და კვლევები ერთ სიბრტყეში განიხილავს პროსტიტუციას, სექსუალურ ექსპლუატაციას და ტრეფიკინგს, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას. ყოველწლიურად პროსტიტუციიდან მიღებული შემოსავალი მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 186 მილიარდ ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. ყველაზე თავშეკავებული ოფიციალური მონაცემებით ევროპაში 7-დან ერთი ქალი, ვინც პროსტიტუციაშია ჩაბმული, ტრეფიკინგის მსხვერპლია. ევროკავშირის

ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მონაცემებით კი მათ ქვეყნებში არსებული პროსტიტუციის ბაზრის 60-დან 90 პროცენტამდე ტრეფიკინგის მსხვერპლთაგან შედგება (ევროპის პარლამენტის სპეციალური ანგარიში 2014, 6).

ევროპის ქვეყნებში ორი ტიპის პოლიტიკაა გავრცელებული პროსტიტუციასთან დაკავშირებით -კანონმდებლობა, რომელიც ახდენს პროსტიტუციის ლეგალიზებას (მაგ, გერმანია, ჰოლანდია) ე.წ. regulatory approach და კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს პროსტიტუციას, ახდენს მის კრიმინალიზებას (მაგ. ესპანეთი, შვედეთი) ე.წ. abolitionist approach. 2014 წელს ევროპის პარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში შეჯამებულია კვლევები, რომლებიც პოლიტიკის ამ ორი ალტერნატივის ეფექტიანობას აანალიზებენ; ანგარიშის მიხედვით ის კაცები, ვინც ყიდულობს ქალის სხეულს სექსისთვის, უფრო მეტად სჩადიან ძალადობრივ დანაშაულს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. აკრძალვისა და კრიმინალიზაციის პოლიტიკამ ნათლად აჩვენა, რომ როდესაც აკრძალვის გზით მოთხოვნის რეგულირება ხდება, მიწოდებაც იკლებს, იმ ქვეყნებში კი სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია ან არ არის მკაცრად რეგულირებული, გაიზარდა ადამიანებით ვაჭრობის, ტრეფიკინგის შემთხვევები. ლეგალიზების პოლიტიკის კრიტიკოსთა აზრით, სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ პოლიტიკის მომხრენი თავიანთ არგუმენტს ამყარებენ იმაზე, რომ ზრდასრულ ადამიანებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საკუთარი სექსუალური ცხოვრების მოწყობა, მაგრამ არ ითვალისწინებენ საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანასწორობის გავლენას პროსტიტუციაზე, კერძოდ იმას, რომ ქალების ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბის მაჩვენებლები უფრო მძიმეა ვიდრე კაცების და ისინი გაცილებით მეტი რაოდენობით და უფრო ხშირად ხდებიან ოჯახში ძალადობის თუ ოჯახს გარეთ სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მსხვერპლნი. სწორედ ამ უთანასწორობიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ 90% შემთხვევებში ქალები არიან მიწოდების, ხოლო კაცები კლიენტურის ანუ მოთხოვნის მხარეს (იქვე, 25).

პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზმა ისიც აჩვენა, რომ ლეგალიზების მომხრეთა მოლოდინი, რომ ამ გზით უფრო მეტი სექსმუშაკი დასაქმდებოდა კონტრაქტით, მიიღებდა სახელმწიფო სოციალურ დაჯანდაცვის ბენეფიტებს და დაცვას არ გამართლდა და რეალურად მათი სამუშაო პირობები და მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა; ჰოლანდია 2000 წელს გახდა პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც პროსტიტუციის ლეგალიზაცია მოახდინა, მაგრამ 2007 წელს ამ პოლიტიკის მთავრობის მიერ ჩატარებული შეფასების მიხედვით პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა 95%-სკვლავ არ ჰქონდა სამუშაო კონტრაქტი; კონტრაქტის არქონის გამო, მათ შესაბამისად არ მიუწვდებოდათ ხელი სოციალურ მომსახურებებზე და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა. 2001-2006 წლებში ყველა გაზომილი პარამეტრით - დეპრესიულობა, ანტიდეპრესანტებისა და სხვა საშუალებების გამოყენება გაიზარდა (იქვე, 34-35).[3] გერმანიამ პროსტიტუციის ლეგალიზება 2002 წელს მოახდინა. ფედერალური მთავრობის მიერ ჩატარებული 2007 წლის კვლევის მონაცემებით, პროსტიტუციაში ჩართულ გამოკითხულ ქალთა 87%-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ განუცდია ფიზიკური, ხოლო 59%-ს სექსუალური ძალადობა, ნახევარმა გამოავლინა დეპრესიის სიმპტომები, ხოლო მეოთხედს ჰქონდა სუიციდური ფიქრები ან თვითმკვლელობის მცდელობა. ძალიან საინტერესო და ტრაგიკული გარემოება, რაც ამ კვლევამ გამოავლინა იყო ის, რომ გამოკითხულ ქალთა 43%-მა აღნიშნა, რომ ბავშვობაში განუცდია სექსუალური ძალადობა (BMFSFJ, 2007).

კიდევ ერთი არგუმენტი, რასაც ლეგალიზაციის მომხრეები ხშირად იყენებენ, შეეხება სტიგმას. მათი აზრით, ამგვარი პოლიტიკა პროსტიტუციაში ჩართული ქალებისადმი სტიგმას ამცირებს, ვინაიდან ხდება პროსტიტუციის პროფესიად განხილვა. ყოფილი სექსმუშაკი რაე სთორი თავის 2016 წლის 11 მაისს გამოქვეყნებულ ბლოგში "დეკრიმინალიზაციის ყალბი ნეიტრალურობა" წერს, რომ სტიგმა ლეგალიზაციით არ მცირდება, ეს მითია, მაგრამ ლეგალიზებას მოაქვს ნაკლები სტიგმა და ტაბუ იმ კაცების მიმართ, ვინც სარგებლობს პროსტიტუციაში ჩართული ქალების მომსახურებით - "ისედაც ქაღალდივით თხელია ტაბუ, რომელიც შეეხება კაცებს, ვინც ფულს იხდის სექსში და ისიც გაჩნდა ბოლო წლებში ფემინიზმის დამსახურებით" (სთორი 2016). ლეგალიზაციის მომხრეთა სხვა არგუმენტები ძალიან ახლოსაა მითებთან და ლეგენდებთან, მაგალითად, რომ პროსტიტუციის აკრძალვა გამოიწვევს იმას, რომ დაუკმაყოფილებელი კაცები მასიურად გაუპატიურებენ ქალებს - ეს არგუმენტი სხვა თუ არაფერი, შეურაცხმყოფელია კაცების მიმართ, რადგან მათ წარმოაჩენს, ინსტინქტებით მართულ მოძალადეებად, რომელთაც საკუთარი სექსუალური სურვილების დამორჩილება არ ხელეწიფებათ და დამამცირებელია ქალებისთვის, რადგან მათ განივთებას ახდენს, წარმოაჩენს ქალებს კაცების სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების ობიექტებად და არა სუბიექტებად, ვისაც შეუძლია საკუთარი პოზიციის და უფლებების დაცვა, რომ აღარაფერი ვთქვათ, რა უმწეო და არაფრის მაქნის როლში ხედავენ ამ არგუმენტის გამზიარებლები სახელმწიფო ინსტიტუტებს, განსაკუთრებით კი სამართალდამცავ ორგანოებს.

შვედეთის კანონმდებლობა არის აკრძალვის მიდგომის ყველაზე ეფექტიანი მოდელი; ეს კანონი 1999 წელს შევიდა ძალაში და მოთხოვნის კრიმინალიზაციას ახდენს იმ ლოგიკით, რომ თუ არ იქნება მოთხოვნა, არ იქნება მიწოდებაც. შვედეთში გამართული დებატი, რაც ამ კანონის მიღებას უსწრებდა წინ, 1970-იანი წლებიდან დაიწყო და კანონმდებელმა ნათლად დაუკავშირა პროსტიტუცია ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული უთანასწორობის საკითხებს. აღნიშნული კანონი არ კრძალავს მიწოდებას, მაგრამ მოთხოვნის აკრძალვით (ჯარიმა და/ან პატიმრობა ერთი წლის ვადით) არ ასხვავებს ნებაყოფლობით და იძულებით პროსტიტუციას შორის.

შვედეთის პოლიტიკის შეფასების ანგარიშებით (2008, 2010 წლების) კანონმა ძალიან კარგ შედეგს მიაღწია, ვინაიდან პროსტიტუციაზე მოთხოვნა განახევრდა. კანონს ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს საზოგადოების მხრიდან და მოსახლეობა პროსტიტუციას გენდერული უთანასწორობის გამოვლინებად აღიქვამს (ევროპის პარლამენტის სპეციალური ანგარიში 2014,51). 2008 წლის მონაცემებით პროსტიტუციაში ჩართული ქალების რაოდენობა შვედეთში დანიასთან შედარებით ერთი მეათედი, ხოლო ნორვეგიასთან შედარებით ერთი მერვედია, მაშინ როდესაც მოსახლეობის მხრივ შვედეთი (9.4 მილიონი) აღემატება დანიასაც (5.6 მილიონი) და ნორვეგიასაც (4.9 მილიონი), მაგრამ სამივე ქვეყანა ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან ეკონომიკური და სოციალური კუთხით. რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, შვედეთის მთავრობა სთავაზობს პროსტიტუციაში ჩართულ ადამიანებს პროგრამებს, რომლებიც მათ რეაბილიტაცია-რეინტეგრაციაზეა ორიენტირებული. შვედური მოდელი გაიზიარა ნორვეგიამ (2009 წელს),[4] ჩრდილოეთ ირლანდიამ (2014 წელს) და საფრანგეთმა (2016 წელს). საფრანგეთის ანალოგიური კანონმდებლობა შვედურის მსგავსად ეფუძნება საზოგადოებრივ კონსენსუსს, რომ პროსტიტუციის პრაქტიკა იწვევს და ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობას, ვინაიდან ახდენს სექსუალური ექსპლუატაციის ნორმალიზებას. შესაბამისად საზოგადოებაში, რომელიც იღწვის გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის მიუღებელია კანონიერი იყოს კაცების მიერ ქალების შეძენა სექსუალური ექსპლუატა-

ციისთვის - ეს წარმოჩინდება, როგორც რაციონალური სექსუალური არჩევანი თუ სექს მუშაობა.[5] რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ყველგან სადაც შვედური მოდელი დაინერგა, პროსტიტუცია კანონმდებელმა ქალთა მიმართ ძალადობის ფორმად და არა "სექს მუშაობად" განმარტა და ნათლად დააკავშირა პროსტიტუციის პრაქტიკა გენდერულ უთანასწორობასთან.

საქართველოს კანონმდებლობა პროსტიტუციის თემას თითქმის ისევე არეგულირებს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდის ბოლოს, 1980-იან წლებში იყო დარეგულირებული და სიმპტომურად აირეკლავს ამ საკითხზე საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებს - ბრალი და გაკიცხვა მიმწოდებელზეა და არა მომხმარებელზე. საქართველოსა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით პროსტიტუციაში ჩართული ადამიანი ისჯება ადმინისტრაციული სახდელით: იგი იღებს გაფრთხილებას ან ჯარიმდება შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე (1723 მუხლი). ეს კანონი არ ეხება ადამიანებს, თუ დადასტურდა, რომ იგი იძულებით ჩააბეს პროსტიტუციაში ან ტრეფიკინგის მსხვერპლია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ადამიანის პროსტიტუციაში ჩაბმას (მუხლი 253), ასევე კრძალავს პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემას (მუხლი 254), მაგრამ მომხმარებლის პასუხისმგებლობაზე საუბარი არის მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მიმართებაში (მუხლი 143(3)) და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე (დამამძიმებელი გარემოებებით კიდევ უფრო მკაცრია სანქცია).

პროსტიტუცია და საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალი

ადამიანი უფლებების საერთაშორისო სამართალი აღიარებს მჭიდრო კავშირს ტრეფიკინგს, სექსუალურ ექსპლუატაციასა და პროსტიტუციას შორის, ასევე აღიარებს, რომ ტრეფიკინგის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ყველაზე ხშირად გოგოები და ქალები არიან, ამიტომ მიიჩნევს ამ პრობლემების დაძლევას გენდერული თანასწორობის მიღწევის დღის წესრიგის ნაწილად. რაც შეეხება უშუალოდ პროსტიტუციას, თუ ის შეიძლება ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან ცალკე მდგომ საკითხად განვიხილოთ, ამ საკითხის დარეგულირებას დღევანდელ დღემდე მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმები სახელმწიფოს პრეროგატივად ტოვებს, რაც ბევრ კითხვას აჩენს იმ ფონზე, რომ კავშირი პროსტიტუციას, ტრეფიკინგსა და სექსუალური ხასიათის ექსპლუატაციას შორის აღიარებულია. ჯერ კიდევ 1927 და შემდგომ 1932 წლებში ერთა ლიგის მიერ ჩატარებულმა ორმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ბორდელების არსებობა და პროსტიტუციის რეგულირება ზრდიდა ტრეფიკინგს ქვეყნების შიგნით თუ გარეთ (მარკოვიჩი, 4). ამ კვლევების და ფემინისტთა პროსტიტუციის გაუქმების მოთხოვნის 80 წლიანი სამოქალაქო მოძრაობის გამოძახილი იყო,[6] რომ უკვე 1939 წელს დაიწყო მუშაობა კონვენციაზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ეს მუშაობა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განახლდა და შედეგად გაერომ 1949 წელს მიიღო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხებს შეეხება - კონვენცია ტრეფიკინგის დაძლევისა და სხვა პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღკვეთის შესახებ (ძალაშია 1951 წლის 25 ივლისიდან). კონვენციის პრეამბულაში ნათლად არის აღნიშნული, რომ პროსტიტუცია და მისი თანმდევი ბოროტება, ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით შეუთავსებელია ადამიანის ღირსებისა და ღირებულებებისადმი და საფრთხეს უქმნის ინდივიდის, ოჯახისა და

საზოგადოების კეთილდღეობას. კონვენცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს დასაჯოს ისინი, ვინც შეისყიდის, უბიძგებს ან ჩაითრევს სხვებს პროსტიტუციაში (მუხლი 1).

მიუხედავად ამ კონვენციასთან დაკავშირებული რიგი შეზღუდვებისა (განხორციელების მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა, პროსტიტუციაზე მოთხოვნის კრიმინალიზაციის პრინციპის გაუთვალისწინებლობა), აღნიშნული დოკუმენტი მაინც მნიშვნელოვანი გამარჯვება და წინგადადგმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან შეცვალა ძველი, ნაპოლეონ მესამის დროინდელი მიდგომა პროსტიტუციისადმი, რომელიც პროსტიტუციაში ჩართული ქალების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვაზე აყვანას და სამედიცინო კონტროლს გულისხმობდა - კონვენციის მოთხოვნით ქვეყნებს აქვთ ვალდებულება არა მარტო გააუქმონ და აკრძალონ ბორდელები, არამედ გაანადგურონ ყველა დოკუმენტი, საარქივო მასალა, რომელიც შეიცავს პირად მონაცემებს პროსტიტუციაში ჩართული პირების შესახებ და შესთავაზონ მათ რეაბილიტაციის პროგრამები.

> "ცხადია, 1949 წელს კაცების მიერ ჩადენილი ძალადობა ქალების წინააღმდეგ არ წარმოადგენდა ისეთ მნიშვნელოვან ადამიანის უფლებათა დარღვევ საკითხს, როგორც დღეს. ბოლო 20 წლის მანძილზე ფემინიზმმა გამოააშკარავა კაცების პასუხისმგებლობა ქალების ცემის, გაუპატიურების, ინცესტისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებზე. დადგა დრო, გამოაშკარავდეს კლიენტის როლი, როგორც მთავარი მოქმედი პირის ქალთა გლობალურ სექსუალურ ექსპლუატაციაში. ვინაიდან მათი მოთხოვნა პროსტიტუციაზე იწვევს და ინარჩუნებს სექსუალური ინდუსტრიის გაფართოებას დღევანდელ დღეს, არ შეიძლება პროსტიტუციის კლიენტი დღევანდელ დღეს უხილავი რჩებოდეს"(მარკოვიჩი, 10).

აღნიშნული ხარვეზი - კერძოდ მოთხოვნის კრიმინალიზაცია და კლიენტზე აქცენტის გაკეთება - 2000 წლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის პროტოკოლმა ტრეფიკინგის, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს შორის, პრევენცის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (იგივე პალერმოს კონვენცია და პროტოკოლი) გამოასწორა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შეიმუშაონ საკანონმდებლო და სხვა ინიციატივები (საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული) მოთხოვნის აღსაკვეთად/წინააღმდეგ (მუხლი 9, პუნქტი 5). ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგის გზით ექსპლუატირებული ადამიანები (მათი თანხმობის მიუხედავად, მუხლი 3, ბ)) არიან მსხვერპლები და არა დამნაშავენი (მუხლი 6).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პალერმოს პროტოკოლამდე გაცილებით ადრე, 1979 წელს გაერომ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრმინაციის აღკვეთის შესახებ (ძალაშია 1981 წლიდან), რომლის მე-6 მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა ზომა, კანონმდებლობის ჩათვლით, ქალთა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის ყველა ფორმის აღსაკვეთად. კონვენციის ზოგადი რეკომენდაცია 19 (მიღებულია 1992 წელს) აღიარებს, რომ სიღარიბე და უმუშევრობა უბიძგებს ბევრ ქალს და გოგონას პროსტიტუციისკენ და ასევე აღიარებს კავშირს ქალთა კომერციულ ექსპლუატაციას სექსუალურ ობიექტივიზაციასა და გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობას შორის.[7]

დასკვნა

პროსტიტუცია თავისით არ აღმოიფხვრება, პოზიციის არქონა ამ საკითხზე და უმოქმედობა, განსაკუთრებით, ქალთა უფლებადამცველთათვის ამ პრაქტიკასთან შერიგებისა და მასზე თვალის დახუჭვის ტოლფასია. ესე იგი, ჩვენთვის სულერთია, რა მიზეზებით ერთვებიან ქალები პროსტიტუციაში, რა პირობებში არიან ისინი დაკავებული ამ „უძველესი პროფესიით" და როგორ ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე განმტკიცება დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპებისა და უთანასწორობისა, კერძოდ, რომ, დიახაც, ქალი კაცის გასართობად არსებობს და მისი სხეულის ყიდვა და მოხმარება ჩვეულებრივი რამაა.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვთ კანონმდებლებს და ხელისუფლებას, ვისაც ხელეწიფება შესაბამისი ცვლილების განხორციელება და დაპირისპირება „ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს" მიდგომასთან იმიტომ, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ჩვენს გვერდით ყოველდღიურად ირღვევა ამ ადამიანების უფლებები. მათი ჯანმრთელობა დაკეთილდღეობა და მათი უფლებების დაცვა ისეთივე ღირებული უნდა იყოს, როგორც ყველა სხვა დანარჩენის, მაგალითად, ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, სექსუალური თუ სხვა უმცირესობის წარმომადგენელთა, ცხადია, თუ შერჩევით არ ვიცავთ ადამიანის უფლებებს. საკანონმდებლო რეგულირების (და არა ლეგალიზების) გარდა, მნიშვნელოვანია გამოსავლის შეთავაზება და რეაბილიტაცია, ვინაიდან სიღარიბე და სისტემური უთანასწორობა უბიძგებს და იწვევს ქალების ჩართვას პროსტიტუციაში და თუ ეს ფაქტორები არ აღმოიფხვრება, არც პრობლემა არ მოგვარდება.

საზოგადოების პასუხისმგებლობაც დიდია, ყოველი ჩვენგანისაც იმიტომ, რომ, როგორც ამ სტატიაში შევეცადე მეჩვენებინა, პროსტიტუციის რეგულირების გზით მასთან ბრძოლის საკითხი გადაჯაჭვულია გენდერული თანასწორობის მიღწევის და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებთან. შესაბამისად, თუ გვინდა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ადამიანის ღირსებას პატივს სცემენ და თანასწორობა ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფასეულობაა, ამასთან შეუთავსებელი ხდება მოთხოვნა პროსტიტუციაზე და ზოგადად, ამ პრაქტიკის მიმღებლობა.

ბიბლიოგრაფია

მელაშვილი, თამთა, რედ. 2013. კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიის რეგიონული ბიურო.

საერთაშორისო ფონდი კურაციო, სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა".2008-2009. ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერის კომპონენტით კომერციული სექსის მუშაკებს შორის საქართველოში. თბილისი, ბათუმი, http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/1/38.pdf

ხომერიკი, ლელა. მანანა ჯავახიშვილი. 2005.ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში:XIX საუკუნის მეორე ნახევარი დაXXსაუკუნის დასაწყისი. თბილისი.

European Parliament, Directorate-General for International Policies, Policy Department, Citizens' Rights and Constitutional Affairs.2014.Sexual exploitation and its impact on gender equality: Study.

Butler, Judith. 2008/1999.Gender Trouble. New York and London:Routledge.

BMFSFJ. 2007.Health, Well-Being and Personal Safety of Women in Germany. http://www.bmfsfj.de/BMFSFJ/Service/Publikationen/publikationliste,did=93194.html

Mackinnon, Catherine A. "Sexuality", 158-180,1997. Linda Nicholson (რედ.).The Second Wave: A Reader in Feminist Theory.New York, London: Routledge.

Markovich, Malka. Guide to the UN Convention of 2 December 1949 for the Suppression of the Traffic in Persons and of the Exploitation of the Prostitution of Others. იხილეთ: http://www.catwinternational.org/Content/Images/Article/88/attachment.pdf

Norwegian Ministry of Justice and Public Security. 2014. Evaluation of Norwegian Legislation Crminalizing the Buying of Sexual Services (summary). http://www.eu-norway.org/Global/SiteFolders/webeu/Evaluation.pdf

Office on Drags and Crime. 2004.United Nations Convention against Transnational Organized Crime and the Protocols Thereto.New York: United Nations.

OHCHR. Convention for the Suppression of the Traffic in Persons and of the Exploitation of the Prostitution of Others http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/TrafficInPersons.aspx

Pankhurst, Christabel.1913. The Great Scourge and How to End It, Lincoln's Inn House, London: Kingsway. https://ia600402.us.archive.org/19/items/b28093318/b28093318.pdf

SoFFI K. 2007.The Act Regulating the Legal Situation of Prostitutes – Implementation, impact current developments.

Story, Rae.2016. Faux Neutrality of Decriminalisation. https://intermanentopposition.wordpress.com/2016/05/11the-faux-neutrality-of-decriminalization/

სქოლიო

1 იხილეთ კატო მიქელაძის პუბლიცისტური წერილების კრებული, თამთა მელაშვილი, კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2013.

2 Christabel Pankhurst, The Great Scourge and How to End It, Lincoln's Inn House, Kingsway: London, 1913, იხილეთ: https://ia600402.us.archive.org/19/items/b28093318/b28093318.pdf

3 იგივე აჩვენა 2007 წელს გერმანიაში ჩატარებულმა კვლევამაც- გერმანიამ პროსტიტუციის ლეგალიზება 2002 წელს მოახდინა - პროსტიტუციაში ჩართული ქალების აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა კონტრაქტი, შესაბამისად, არ მიუწვდებოდა ხელი სოციალურ დაცვაზე და არ გაუმჯობესებულა მათი სამუშაო პირობები. SoFFI K, The Act Regulating the Legal Situation of Prostitutes – implementation, impact current developments, 2007, 17-18.

4 2014 წელს ნორვეგიის იუსტიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა შეფასება, რომელმაც დაადგინა, რომ კანონი ეფექტიანია ვინაიდან შედეგად შემცირდა პროსტიტუციაში ჩართული ქალების რაოდენობა, ქალთა მიმართ ძალადობის და ტრეფიკინგის მაჩვენებლები. Norwegian Ministry of Justice and Public Security, Evaluation of Norwegian Legislation Crminalizing the Buying of Sexual Services (summary), 2014, იხილეთ: http://www.eu-norway.org/Global/SiteFolders/webeu/Evaluation.pdf

5 Under New Law, France Would no Longer be Sexual Playground of Men Like Dominique Strauss-Kahn, 2012 - 02-10, იხილეთ:http://www.truth-out.org/news/item/6604:under-new-law-france-would-no-longer-be-sexual-playground-of-men-like-dominique-strausskahn

6 ფემინისტური მოძრაობა პროსტიტუციის გაუქმების მოთხოვნით ინგლისში ჯოზეფინ ბათლერის ხელმძღვანელობით დაიწყო 1866 წელს; მონობა ახალი გაუქმებული იყო ევროპის უმეტეს ქვეყნებში და ბათლერი პროსტიტუციას მიიჩნევდა მონობის ფორმად, რომელიც ქალთა ჩაგვრას და კაცობრიობის დეგრადაციას უწყობდა ხელს. პროსტიტუციის რეგულირების სისტემა, რომელიც ნაპოლეონ მესამემ შემოიღო საფრანგეთში, ძალიან მალე ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვენერიული დაავადებების პრევენციის კონტექსტით. რეალობაში ეს სისტემა ეფუძნებოდა საზოგადოებისა და ადამიანის სექსუალობის ისეთ ხედვას, რომელშიც ქალი კაცის ვნებების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენდა. ხშირი იყო ქალების დაკავება სამართალდამცავთა მხრიდან, მათი იძულებითი სამედიცინო შემოწმება, რაც სექსუალური ხასიათის წამებადაც არის აღწერილი და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როდესაც არავინ ეხებოდა ტრეფიკიორებსა დაკლიენტებს და შეიძლება. მუნიციპალიტეტებს გადასახადებიცკი შეეგროვებინათ მათ ტერიტორიაზე არსებული ბორდელებისგან. პროსტიტუციის რეგულირების ამ უსამართლო სისტემით და ქალთა მზარდი ვიქტიმიზაციით აღშფოთებულმა ჯოზეფინ ბათლერმა წამოიწყო მოძრაობა პროსტიტუციის წინააღმდეგ დიდ ბრიტანეთში, რომელსაც მხარდამჭერები ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში, ამერიკისშეერთებულ შტატებსა და კოლონიებშიც გამოუჩნდნენ.

7 კონვენციის სრული ტექსტი, ისევე როგორც მისი ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, იხილეთ:http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CEDAW.aspx